შეეშვით ამ ყველაფერს, უთუოდ ეს ამაზრზენი რამეა

ჯააბირ იბნ აბდულლაჰი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოსცემს: ჩვენ ვიყავით ერთ-ერთ ლაშქრობაში, მუჰაჯირთაგან ერთ-ერთმა დაარტყა ანსარს საჯდომზე დაარტყა, ანსარმა თქვა: შეეწიეთ ანსარს, მუჰაჯირმა თქვა: შეეწიეთ მუჰაჯირს, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს გაიგო და იკითხა: «რა ხდება»? მას უთხრეს: ერთ-ერთმა მუჰაჯირმა ერთ-ერთ ანსარს საჯდომზე დაარტყა, და ანსარმა თქვა: შეეწიეთ ანსარს, მუჰაჯირმა კი თქვა: შეეწიეთ მუჰაჯირს, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «შეეშვით ამ ყველაფერს, უთუოდ ეს ამაზრზენი რამეა». ჯაბირმა თქვა: როდესაც შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩამოვიდა ანსარები ბევრნი იყვნენ, შემდეგ კი მუჰაჯირების რიცხვმა იმატა, აბდულლაჰ ბინ უბაიმ თქვა: ეს ყველაფერიც გააკეთეს, ვფიცავ ალლაჰს, როცა დავბრუნდებით მედინაში, დიდებულები გაყრიან იქიდან დამცირებულებს, უმარ ბინ ალ-ხატტაბმა თქვა: ო, ალლაჰის შუამავალო, ნება მომეცი კისერი წავაგდებინო ამ ორპირს, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «დაანებე თავი, რომ ადამიანებმა საუბარი არ დაიწყონ მუჰამმედი თავის მიმდევრებს ხოცავსო».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სალაშქროდ იმყოფებოდა, მას თან ახლდნენ თავისი საჰაბები, მუჰაჯირები და ანსარები (ალლაჰი იყოს მათგან კმაყოფილი), ერთმა მუჰაჯირმა ერთ ანსარს საჯდომზე ხელი დაარტყა. ანსარმა თქვა: ო, ანსარებო დამეხმარეთ, მუჰაჯირმა თქვა: ო, მუჰაჯირებო დამეხმარეთ, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს გაიგო და იკითხა: რა ხდება? მას უთხრეს: ერთ-ერთმა მუჰაჯირმა ანსარს საჯდომზე ხელი დაარტყა, და ანსარმა თქვა: ო, ანსარებო დამეხმარეთ, მუჰაჯირმა თქვა: ო, მუჰაჯირებო, დამეხმარეთ. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: შეეშვით უმეცრების დროიდან დარჩენილ ამაზრზენ და შემაწუხებელ ქმედებას; როდესაც მამაკაცი მარცხდება თავის მოწინააღმდეგესთან, ის მოუხმობს თავის ხალხს დასახმარებლად, ისინიც აჩქარებით ეხმარებიან მას არ კითხულობენ მჩაგვრელია, ჩაგრულია გაურკვევლად და ძალმომრეობით. ჯააბირმა თქვა: როდესაც შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩამოვიდა ანსარები ბლომად იყვნენ, შემდეგ კი მუჰაჯირების რიცხვმა იმატა. ორპირთა ლიდერმა აბდულლაჰ ბინ უბაიმ ბინ სალულმა თქვა: საქმე ამ მდგომარეობამდე მივიდა?! ვფიცავ ალლაჰს, როცა დავბრუნდებით მედინაში, დიდებულები - გულისხმობდა საკუთარ თავს და მის კომპანიონებს - გაყრიან იქიდან დამცირებულებს, - გულისხმობდა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მასთან ერთად მყოფნს. უმარ ბინ ალ-ხატტაბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ო, ალლაჰის შუამავალო, კისერს წავაგდებინებ ამ ორპირს, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: დაანებე თავი, ადამიანებმა საუბარი არ დაიწყონ მუჰამმედი თავის მიმდევრებს ხოცავსო, თუნდაც ორპირებს.